

შსს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებასა და ვიდეოკადრებს ავრცელებს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებასა და ვიდეოკადრებს ავრცელებს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროში ბრიფინგი ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა,

თეიმურაზ კუპატაძემ გამართა.

„სამოგალოებისთვის როგორც ცნობილია, 7 და 8 მარტს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე გაიმართა საპროტესტო აქცია, რომელიც არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციის კანონით დაშვებულ ნორმებს და გადაიზარდა ძალადობრივ ქმედებებში.

პირველ რიგში, ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კატეგორიულად დაუშვებელია პოლიციურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, მასზე თავდასხმა და მის მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელება.

ორი დღის განმავლობაში საპროტესტო აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 58 თანამშრომელი, მათ შორის 5 ამ დრომდე რჩება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში.

ყვედამ კარგად ნახა, როგორ ესროდნენ ცეცხლმოკიდებულ საგნებს, პიროტექნიკას თუ ე.წ. მოღოტოვის კოქტეილებს ჩემს კოლეგებს, რის

შედგებადაც რამდენიმე მათგანმა მძიმე ხარისხის დამწვრობა მიიღო.

ასევე, ყველა მედიასაშუალებების ეთერში კარგად ჩანდა, აქციის მონაწილეები როგორ ისროდნენ პოლიციის მიმართულებით სხვადასხვა ბრავო საგნებს, ქვებს, ხის თუ რკინის ნივთებს, რის შედეგადაც არაერთმა პოლიციელმა მიიღო მძიმე ხარისხის დაზიანება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სწავლობს პოლიციელების მიმართ განხორციელებული ძალადობის თითოეულ ფაქტს და გამოვლენილი დამნაშავე პირები კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან.

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ შემაჯამებელი ინფორმაცია ბოლო დღეების განმავლობაში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიასა და რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები მიმდინარე წლის 7 მარტს, აქციის დაანონსების შემდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარედ განდგდნენ და საპროტესტო აქციის მშვიდობიანად ჩატარებას უზრუნველყოფდნენ. თუმცა, დღის ბოლოს აქციის მონაწილეებმა სცადეს პარლამენტის შესასვლელების ბლოკირება.

საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, გაფრთხილების შემდგომ, საჭიროების შესაბამისად, პოლიციამ თანმიმდევრულად გამოიყენა პროპორციული ძალა და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვარისწინებული იძულების სპეციალური საშუალებები.

მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან აქციის მონაწილეების მიმართ არაერთი მოწოდებისა, რომ პროტესტი კანონის ფარგლებში გაგრძელებულიყო, შეკრებილები განაგრძობდნენ ძალადობრივ ქმედებებს ჭიჭინაძისა და ჩიტაძის ქუჩებზე.

დაძაბულობის განმუხტვისა და სიტუაციის დეესკალაციის მიზნით, საპოლიციო ძალებმა აქციის მონაწილეებს გზა გაუხსნეს, გაათავისუფლეს პარლამენტის მიმდებარე ქუჩები და მათ პროტესტის მშვიდობიანი ფორმებით გაგრძელებისკენ მოუწოდეს.

მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეები პოლიციის თანამშრომლების

მიმართულებით გამიზნულად ისროდნენ სხვადასხვა საგნებს – ქვებს, ეგრეთ წოდებულ მოდოტოვის კოქტეილებს, ააღებად საშუალებებს, ბრაგვ საგნებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ მათ. ასევე მიზანმიმართულად აზიანებდნენ სამინისტროს კუთვნილ ავტომობილებსა და პოლიციის სპეციალურ აღჭურვილობას.

მოგვიანებით, შეკრებილებმა დაიწყეს პარლამენტის შენობაზე ორგანიზებული თავდასხმა, ეგრეთ წოდებული მოდოტოვის კოქტეილების და პიროტექნიკის სროლა.

ყვედამ კარგად ვნახეთ, რომ აქციის მონაწილეებმა საკანონმდებლო ორგანოს შენობას ცეცხრი წაუკიდეს, ესროდეს ქვები, ჩაამსხვრიეს მინები და დააზიანეს რკინის დამცავი ჯებირები.



საზოგადოებრივი წესრიგის მიზანმიმართული, მასობრივი დარღვევა რამდენიმე საათის განმავლობაში, გრძელდებოდა. პოლიციამ წესრიგის აღდგენის მიზნით რამდენჯერმე გამოიყენა პროპორციული ძალა და სპეციალური საშუალებები.

სამართალდამცველებმა აქციაზე წვრილმანი ხურიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტებზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, 66 პირი დააკავეს.

აქცია საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე მეორე დღესაც გაგრძელდა.

სიტუაციის დეესკალაციის მიზნით, პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები პარლამენტის შიდა ტერიტორიაზე განთავსდნენ.

პოლიცია მთელი დღის განმავლობაში აქტიურად იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, უსაფრთხოების მიზნით, პოლიცია აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე ახორციელებდა მოქარაქეების ბედაპირურ შემოწმებას, რის შედეგადაც დაკავდა 10 პირი. მათ საპროტესტო აქციაზე მიჰქონდათ ძარადობრივი ქმედებებისთვის გამიზნული კანონსაწინააღმდეგო ნივთები, მათ შორის ელექტროშოკი, ხეივანი, ქვები, სხვადასხვა სახის პირობეები.

პარლამენტის წინ შეკრებიდნენ აქციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ჩაეტარებინათ საპროტესტო აქცია.

მიუხედავად ამისა, ცარკეური პირების მხრიდან პერიოდულად ისმოდა ძარადობრივი ქმედებებისკენ მოწოდებები.

მას შემდეგ კი, რაც ერთ-ერთმა გამომსვრემა შეკრებილებს საკანონმდებლო ორგანოს პიკეტირებისკენ მოუწოდა, აქციის მონაწილეებმა მასობრივად დაიწყეს პარლამენტის შესასვრელების ბლოკირება და შენობის პიკეტირება.

შეკრებილებმა დააზიანეს პარლამენტის შენობასთან განლაგებული რკინის დამცავი ჯებირები, შესასვრედი კარები, ჩაამსხვრიეს შენობის მინები, დააზიანეს რკინის ცხაურები, პარლამენტის შენობასა და ეზოში ისროდნენ ქვებს, სხვადასხვა სახის საგნებს და პირობეებს.

შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ძალებმა, წესრიგის დაცვის მიზნით, სამართადამრღვევთა ძარადობრივი და აგრესიული ქმედებების აღსაკვეთად “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონით გათვარისწინებული, შესაბამისი იძულების



ღონისძიებები და სპეციალური საშუალება

პოლიციის მხრიდან დაძაბული სიტუაციის განმუხტვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, რუსთაველის გამზირზე შეკრებილებმა დაიწყეს პოლიციელების მიმართულებით ე.წ. მოღოტოვის კოქტეილების, ქვების, ხის ძელების და სხვა საგნების სროლა.

აქციის მონაწილეებმა დააზიანეს, ამოატრიაღეს და ცეცხლი წაუკიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ ავტომანქანებს. ასევე, ქვებით დაზიანებები მიაყენეს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ავტობუსს, შეღებეს და დააზიანეს სახანძრო ავტომანქანა. აგრეთვე, დააზიანეს თბილისის მერიის კუთვნილი მატერიალური ქონება.

აქციის მონაწილეები მთელი ღამის განმავლობაში ცენტრალურ გამზირსა და მის მიმდებარე სხვადასხვა დოკაციაზე არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და მართდნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციის თანამშრომლებს, აზიანებდნენ ინფრასტრუქტურას და ცეცხლს უკიდებდნენ სხვადასხვა ნივთებს.

მიმდინარე წლის 7-8 მარტს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის დროს მომხდარ სამართადარღვევების ფაქტებზე, კერძოდ, პოლიციელებზე განხორციელებულ თავდასხმის ფაქტზე, სამართადამცველებმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხრით დააკავეს ერთი პირი, ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხრების შესაბამისად კი პოლიციამ ჯამში 133 პირი დააკავა.

დაკავებულთა ნაწილი გუშინვე იქნა წარდგენილი სასამართლოს წინაშე. დანარჩენი პირები კი გათავისუფლდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის კანონით განსაზღვრული ვადის

ამონურვის საფუძველებზე და შემდგომ წარდგენილი იქნებიან სასამართლოს წინაშე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება ყველა იმ პირის დადგენის, იდენტიფიცირებისა და დაკავების მიზნით, რომლებმაც საპროტესტო აქციაზე განახორციელეს პოლიციელებზე თავდასხმა და სხვა ძარაღობრივი ქმედებები.

ძარაღობრივ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 პრიმა და 187-ე მუხრებით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.